ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ პროექტს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ"- ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და განვმარტავთ შემდეგს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი საერთო მოცულობაში უნდა გაიზარდოს სულ 952,8 ათასი ლარით, მათ შორის: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის N121 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 200 იანვრის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - საფუძველზე 75,2 ათასი ლარით;

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 თებერვლის N321 განკარგულების ,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ" - საფუძველზე 250,0 ათასი ლარით;

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N516 განკარგულების ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საფუძველზე - 627,6 ათასი (627 577) ლარით .

აღნიშნულის შედეგად ბიუჯეტის მოცულობა გახდება 6 429,2 ათასი ლარი (ნაშთის ჩათვლით) საიდანაც მთავრობის განკარგულებით მიღებული (სპეციალური დანიშნულების ტრანსფერი) 952,8 ათასი ლარი უნდა გაიხარჯოს შემდეგი დანიშნულებით:

- დაბა ჩოხატაურში აგრარული ბაზრის რეაბილიტაციის, დაბა ჩოხატაურში ჩიჩუას, გოგებაშვილის, ჯალაღანიას, ფიროსმანის და გოგიბერიძის ქუჩებზე ასფალტო ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების, სოფელ ამაღლებაში, სამებაში, ხევში, ქვენობანში, ბუკნარში და კოხნარში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის, სოფელ ბუკისციხეში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ასფალტო ბეტონის საფარის და ბეტონის სანიაღვრე არხების, დაბა ჩოხატაურში გამგეობის შენობის მიმდებარედ სკვერის მშენებლობის, დაბა ჩოხატაურის გამგეობის შენობის რეაბილიტაციის, სამხატვრო გალერიის შენობის რეაბილიტაციის, სოფელ ზემო ფარცხმის და სოფელ ბუკისციხის კულტურის სახლის რეაბილიტაციის, დაბა ჩოხატაურში, სოფელ ზემოფარცხმაში, შუაფარცხმაში, გუთურში, დაბლაციხეში და გოგოლესუბანში გარე განათების ქსელის მოწყობის, ბუკისციხე - ზემოსურების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, სოფელ ზემოსურებში, ზემოხეთში, ჩომეთში, დიდივანში და წიფნარში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის, სოფელ შუაამაღლებაში კულტურის სახლის რეაბილიტაციის და დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 75,2 ათასი ლარი;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის ერთი ერთეული სპეციალური ტექნიკის (ბულდოზერი) 250,0 ათასი ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაზე 627,6 ათასი ლარი;

თან წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 დანართებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელი:

ირაკლი კუჭავა

საფინანსო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის უფროსი: *გელა ლომინეიშვილი*

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის
მუნიციპალიტეტის გამგეობა

G E O R G I A
BOARD OF CHOKHATAURI
MUNICIPALITY

N ----- *მარტი 2015 წ.*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ბატონო ზაალ ,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის N60 დადგენილებაში - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია: მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – გელა ლომინეიშვილი

დანართი ------ ფურცელი.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; ტელ: 790 959737; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; tel: 790 959737;
E-mail: chokhatauri.board@yahoo.com